



ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები - და 51 დავალებას შეიცავს.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 80.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.
- თუ პასუხის გაცემისას დაარღვევთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დაგაკლდებათ ქულა.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



საგნობრივი ცოდნა

[1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#) [13](#) [14](#) [15](#) [16](#) [17](#) [18](#) [19](#) [20](#) [21](#) [22](#) [23](#) [24](#) [25](#) [26](#)
[27](#) [28](#) [29](#) [30](#) [31](#) [32](#) [33](#) [34](#) [35](#) [36](#) [37](#) [38](#) [39](#) [40](#) [41](#) [42](#) [43](#) [44](#) [45](#) [46](#) [47](#) [48](#) [49](#) [50](#) [51](#)

ქართული ენა და ლიტერატურა

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია დაშვებული შეცდომა?

I. უარყოფ

II. უკუვაგდებ

III. ვენამახვილობ

IV. ვუზრუნველყოფ

(ა) პირველსა და მესამეში

(ბ) მესამეში

(გ) მეორესა და მესამეში

(დ) მეოთხეში

2. რომელი მეტყველების ნაწილია ხაზგასმული სიტყვა მოცემულ წინადადებაში?
გიორგი ძმის გარდა არავის ენდობოდა.

- (ა) ნაწილაკი
- (ბ) თანდებული
- (გ) ზედსართავი
- (დ) ნაცვალსახელი

3. ტექსტში ვკითხულობთ: „თუ მსაზღვრელად მრავლის გამომხატველი ნაცვალსახელი გვაქვს, საზღვრული აუცილებლად მხოლოდით რიცხვში უნდა იყოს.“

ჩამოთვლილთაგან რომელია წარმოდგენილი მსჯელობის საილუსტრაციოდ მოხმობილი მაგალითი?

- (ა) ველზე ბევრი ყვავილი გაშლილიყო.
- (ბ) ნიკომ სხვადასხვა ქვეყანაში იმოგზაურა.
- (გ) სოფიო უამრავ ადამიანს დაეხმარა.
- (დ) ფარა ფერდობზე შეფენილიყო.

4. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია მართებული?

- I. ქვემდებარე წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს მოთხრობითსა და სახელობით ბრუნვაში.
- II. ქვემდებარე წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს მიცემითსა და სახელობით ბრუნვაში.
- III. ქვემდებარე წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს ნათესაობითსა და მოთხრობით ბრუნვაში.

(ა) I და II

(ბ) მხოლოდ III

(გ) I და III

(დ) მხოლოდ II

5. მოცემულია წინადადებები:

- I. „მუხის ქვეშ მიმოფანტულ რკოს ტახები არ ეკარებოდნენ“.
- II. „ლუკა რკოს ქუდებს იყენებდა ხოლმე სასტვენის ნაცვლად“.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა მართებული?

სიტყვა რკო:

- (ა) ორივე წინადადებაში წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვის ფორმით.
- (ბ) ორივე წინადადებაში წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით.
- (გ) I წინადადებაში წარმოდგენილია ნათესაობითის, ხოლო II წინადადებაში – მიცემითი ბრუნვის ფორმით.
- (დ) I წინადადებაში წარმოდგენილია მიცემითის, ხოლო II წინადადებაში – ნათესაობითი ბრუნვის ფორმით.

6. რომელი ქართველი საბავშვო ავტორის ნამდვილი გვარია ქუჩუკაშვილი?

(ა) ნიკო ლომოურის

(ბ) შიო მღვიმელის

(გ) ეკატერინე გაბაშვილის

(დ) ნინო ნაკაშიძის

7. ქვემოთ მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია რამდენიმე მორფოლოგიური თუ სინტაქსური შეცდომა. ამოიწერეთ შეცდომით დაწერილი სიტყვები, მიუთითეთ სწორი ფორმა და პასუხი დაასაბუთეთ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.

გაითვალისწინეთ, რომ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.

ყველას უყვარს გაზაფხული, ნათელი, კაშკაშა დღეები, მთასა თუ ბარში გაშლილი სურნელოვანი ყვავილები, რომლებსაც ჭრელი პეპლები დაფარფატებენ თავს. ახასხასებულ არემარეს ათინათი ისე დასთამაშებს, გეგონება, მზეს სხივების აბლაბუდა გაუბავს და სათამაშოდ გვიწვევსო. ღრუბელი, რომელიც ცის კიდისკენ ფეხაკრეფით მიცურავს, არ უნდა, ხელი შეუშალოს გაზაფხულის ამ საოცარ დღესასწაულს.

8. ვაჟა-ფშაველასა და მის ძმებს ზოგიერთი კრიტიკოსი საყვედურობდა, თქვენს პოეზიაზე გავლენას ახდენს რაფიელ ერისთავიო. ვაჟამ თავის საპასუხო წერილში იმსჯელა, ზოგადად, მწერალზე სხვა შემოქმედთა გავლენის დადებითი თუ უარყოფითი მხარეების შესახებ და დასძინა: „ზღვაში ბევრი სხვადასხვა წყალი ერევა, მაგრამ ზღვას მაინც ზღვა ჰქვია და ზღვაც იმიტომ არის, რომ ყველა იმ მდინარეთ იტევს, ისისხლხორცებს და საკუთარს დიდებულს სახელს არა ჰკარგავს.“

ახსენით, რა იგულისხმა ვაჟამ ამ მეტაფორულ ნათქვამში?

(მაქსიმალური ქულა – 2)

9. წაიკითხეთ ხალხური ლექსი „ქალი ხვარამზე“ და შეასრულეთ 9.1 – 9.3 დავალებები.

ქართულ მითოსში ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი ღვთაება არის მზე. მთვარე და ვარსკვლავებიც ღვთაებები არიან. ხალხური წარმოდგენით, მზე და მთვარე შეიძლება იყვნენ როგორც შეყვარებულები, ცოლ-ქმარი ან და-ძმა, ასევე, ძმები ან დედა-შვილი. მზისა და მთვარის სიყვარული ხშირად გვხვდება ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში. სხვადასხვა ხალხის მითოსში მთვარე, როგორც მზის მიჯნური, ზოგჯერ თავგაპობილად არის წარმოდგენილი, რაც ნახევარმთვარის მხატვრულ სახეს ქმნის.

მზის მითოსის კვალია შემორჩენილი ხალხურ ლექსში „ქალი ხვარამზე“:

აღმოსავლეთით ამოჩნდა
თვალად ლამაზი ქალიო,
ამაჰყვა საყურ-ბეჭედი,
უქრიალებდა ქარიო,
თან მოყმე ამაიყოლა,
ნათლად ეღება ფარიო.
– აკოცეთ ქალსა ხვარამზეს,
მე ვარ ამ ქალის ქმარიო.
აკოცა ბიჭმა რეგვენმა,
თავს გადიმტვრია ხმალიო.

– რად ეგრე, ბიჭო, რეგვენო,
რაზედ მოიკალ თავიო?
გაწყრა, გაჯავრდა ხვარამზე,
მალლით ჩაშალნა თმანიო,
შაკაზმა მამის ლურჯაი,
ზედ თავად შაჯდა ქალიო,
სარბენლად არ ეყოფიან
თრიალეთისა გზანიო,
საძოვრად არ ეყოფიან
დიდი ალგეთის მთანიო...

9.1 იმსჯელეთ, რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს ლექსი მზის ამოსვლის სურათს გვიხატავს? პასუხის დასასაბუთებლად მიუთითეთ ლექსიდან შესაბამისი ორი ფრაგმენტი.

(მაქსიმალური ქულა – 2)

9.2 ამოიწერეთ ლექსიდან ტაეპი, რომელშიც შეიძლება, ამოვიკითხოთ ნახევარმთვარის მეტაფორა. თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 2)

9.3 მიუთითეთ, ლექსის რომელ ტაეპში გვხვდება მზის სხივების მეტაფორა:

(მაქსიმალური ქულა – 1)

10. წაიკითხეთ გურამ რჩეულიშვილის მინიატიურა „მუსტანგები“ და შეასრულეთ 10.1 – 10.3 დავალებები.

გადამხმარი ბალახი თითქოს შრიალებდა. იქით, ძალიან იქით, გამოფიტული თიხის გორები იდგა.

სულ ნელა ბოლავდა სიცხისგან სტეპი.

გორის ძირი სველი იყო: შეუმჩნევლად ჟონავდა წყალი. მუსტანგები ენით ლოკავდნენ სველ მიწას. მიწა იყო თიხის. იზილებოდა და ილიპებოდა ნალოკი. აქა-იქ დაუნალავი ჩლიქის კვალი რჩებოდა.

სულ ნელა ბოლავდა სიცხისგან სტეპი.

მუსტანგები იდგნენ და ენით ლოკავდნენ სველ მიწას.

შორიდან, სტეპის სიღრმიდან, ფლოქვების ხმა ისმოდა. ცხენებზე კაცები ისხდნენ: ერთზე მეგზური, მეორეზე ფოტორეპორტიორი. მუსტანგებს ესმოდათ ფლოქვების ხმა, ან არ ესმოდათ: იდგნენ, ლოკავდნენ, მერე იდგნენ და არ ლოკავდნენ.

მხედრებმა გორა იფარეს. ფოტორეპორტიორი აქ დაქვეითდა. ფეხით მიეპარა და „ჩხაკ“ – გადაიღო, კიდევ „ჩხაკ“ და გადაიღო. მუსტანგები იდგნენ, მერე შეფრთხნენ. ერთ მათგანს გაკვირვებული სახე ჰქონდა.

სულ ნელა ბოლავდა სიცხისგან სტეპი.

...კონკურსზე საუკეთესო სურათის წარდგენისთვის ვიღაც ფოტორეპორტიორმა პირველი პრემია მიიღო:

სურათზე დამფრთხალი მუსტანგები ეხატა გამოფიტული თიხის გორების ძირში და ერთ მათგანს გაკვირვებული სახე ჰქონდა.

10.1 იმსჯელეთ, რატომ ამახვილებს ყურადღებას ავტორი მუსტანგის გაკვირვებულ სახეზე ?

(მაქსიმალური ქულა – 2)

10.2 ამოწერეთ წინადადება, რომელშიც ავტორი მხატვრულად გადმოგვცემს მუსტანგებთან „სტუმრების“ მიპარვის სცენას.

(მაქსიმალური ქულა – 1)

10.3 იმსჯელეთ, ამ მინიატიურის მიხედვით, რა მიმართებაა ბუნებასა და ადამიანს შორის. პასუხის დასასაბუთებლად მიუთითეთ შესაბამისი ადგილები ტექსტიდან.

(მაქსიმალური ქულა – 3)

მათემატიკა

11. სატელეფონო კომპანია მომხმარებელს ტელეფონით საუბრისას ყოველი წუთისთვის 2 თეთრს ახდევინებს. გარდა ამისა, მომხმარებელი ყოველთვიურად იხდის ფიქსირებულ სააბონენტო გადასახადს – 5 ლარს. გიორგიმ აპრილის თვეში ტელეფონით 150 წუთი ისაუბრა. სულ რა თანხას შეადგენს აპრილის თვეში გიორგის სატელეფონო გადასახადი?

(ა) 7 ლარს

(ბ) 7 ლარსა და 50 თეთრს

(გ) 8 ლარს

(დ) 8 ლარსა და 50 თეთრს

12. 20 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობა ველოსიპედისტმა ორ ქალაქს შორის მანძილი 1 სთ-სა და 30 წთ-ში დაფარა. რა დრო დასჭირდებოდა ველოსიპედისტს იმავე მანძილის გასავლელად, თუ იგი 15 კმ/სთ სიჩქარით იმოძრაებდა?

(ა) 1 სთ და 45 წთ


(ბ) 2 სთ

(გ) 2 სთ 30 წთ

(დ) 3 სთ

13. ტოლდანაყოფებიან სკალაზე მონიშნულია იანვრის საშუალო ტემპერატურა A, B და C ქალაქებში (იხ. ნახაზი). რის ტოლია იანვრის საშუალო ტემპერატურა A ქალაქში?


- (ა) 0°
- (ბ) -2°
- (გ) -3°
- (დ) -4°



14. სამკუთხედისა და მართკუთხედის ყველა წვერო იმ ბადის კვანძებს ემთხვევა, რომლის თითოეული უჯრედი კვადრატია (იხ. ნახაზი).

რამდენჯერ მეტია სამკუთხედის ფართობი მართკუთხედის ფართობზე?

- (ა) 2,5-ჯერ
- (ბ) 3-ჯერ
- (გ) 3,5-ჯერ
- (დ) 4-ჯერ



15. ვანოს მხოლოდ 20-თეთრიანი და 50-თეთრიანი მონეტები აქვს, რაც სულ 18 ლარს შეადგენს. 20-თეთრიანი მონეტების რაოდენობა 50-თეთრიანი მონეტების რაოდენობაზე 5-ჯერ მეტია. სულ რამდენი ცალი 50-თეთრიანი მონეტა აქვს ვანოს?

(ა) 8

(ბ) 12

(გ) 15

(დ) 18

16. ანა, მარი, სოფო და ნინო მრგვალი მაგიდის ირგვლივ სხედან. მწვანეკაბიანი, რომელიც არც ანაა და არც – მარი, ცისფერკაბიანსა და ნინოს შორის ზის. თეთრკაბიანი კი ზის ვარდისფერკაბიანსა და მარის შორის.

ქვემოთ მოცემულია გოგონების კაბების ფერების ორი შესაძლო განაწილება:

1. ანა – თეთრი, მარი – ცისფერი, სოფო – მწვანე, ნინო – ვარდისფერი;
2. ანა – ვარდისფერი, მარი – თეთრი, სოფო – მწვანე, ნინო – ცისფერი.

რომელი განაწილებაა სწორი ამოცანის პირობების გათვალისწინებით?

- (ა) პირველი
- (ბ) მეორე
- (გ) არც ერთი
- (დ) ამის დადგენა შეუძლებელია

17. თუ მოცემული რიცხვის ჩანაწერში ერთეულების თანრიგის ციფრის წაშლით მიღებული რიცხვი 10-ჯერ ნაკლებია მოცემულ რიცხვზე, მაშინ მოცემული რიცხვის ჩანაწერში ერთეულების თანრიგის ციფრია:

(ა) 0

(ბ) 2

(გ) 4


(დ) 5

18. დიტოს ყოველდღიური შემოსავალია 18-20 ლარი. ის ყოველდღიურად 8-10 ლარს ხარჯავს, დარჩენილ თანხას კი აგროვებს. დიტომ რამდენიმე დღე იმუშავა და 28 ლარი დააგროვა. რამდენი დღე უმუშავია დიტოს?

- (ა) 2
- (ბ) 3
- (გ) 4
- (დ) 5

მონაცემთა ანალიზი

დიაგრამაზე მოცემულია, რამდენი კილოგრამი ხილი და ბოსტნეული მოიყვანეს ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე 2010-2013 წლებში.



დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ 2 შეკითხვას:

შეკითხვებზე გადასვლა: [19](#) [20](#)

19. რამდენჯერ შემცირდა ერთ სულ მოსახლეზე მოყვანილი ხილის რაოდენობა 2013 წელს 2011 წელთან შედარებით?

(ა) 1,5-ჯერ

(ბ) 2-ჯერ

(გ) 2,5-ჯერ

(დ) 3-ჯერ

[დიაგრამის ნახვა](#)

20. რა ფარგლებში მერყეობდა ბოსტნეულის მოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 2010-2013 წლებში?

(ა) 50-110 კგ

(ბ) 70-130 კგ

(გ) 60-120 კგ

(დ) 80-120 კგ

[დიაგრამის ნახვა](#)

21. x -ის იმ კენტი მნიშვნელობათა რაოდენობა, რომლებსთვისაც მართებულია უტოლობები $x > 25$ და $12 < x < 37$, არის:

(ა) 5

(ბ) 7

(გ) 9

(დ) 11

22. სამი ძმის საშუალო ასაკი n -ის ტოლია. რის ტოლი იქნება მათ ასაკთა ჯამი 5 წლის შემდეგ?

(ა) $3n + 15$

(ბ) $3n + 5$


(გ) $n + 15$

(დ) $n + 5$


23. მოცემულია შემდეგი მსჯელობა:

- არც ერთი კეთილი ადამიანი არ არის ძუნწი.
- ყველა შორსმჭვრეტელი ადამიანი კეთილია.
- მაშასადამე, არც ერთი შორსმჭვრეტელი ადამიანი არ არის ძუნწი.


თუკი ქვემოთ წარმოდგენილ ვენის დიაგრამებზე A კეთილი ადამიანების სიმრავლეს აღნიშნავს, B – ძუნწი ადამიანების სიმრავლეს, ხოლო C – შორსმჭვრეტელი ადამიანების სიმრავლეს, მაშინ რომელი მათგანი გამოგადგებათ ამ დასკვნის მართებულობის საჩვენებლად?




(ა)



(ბ)



(გ)



(დ)

24. კუბი, რომლის წიბოს სიგრძეა 3 სმ, მიღებულია პატარა კუბების ერთმანეთზე დაწყობით. თითოეული პატარა კუბის წიბოს სიგრძეა 1 სმ. რა სიმაღლე ექნება სვეტს, რომელსაც მივიღებთ, თუკი ყველა პატარა კუბს ერთმანეთზე ერთ სვეტად დავაწყობთ?

- (ა) 9 სმ
- (ბ) 18 სმ
- (გ) 24 სმ
- (დ) 27 სმ

25. ორ კალათში ერთად 56 კგ ვაშლია, ამასთან, პირველ კალათში 28 კგ-ით ნაკლები ვაშლია, ვიდრე მეორეში. ვაშლის საერთო რაოდენობის რა ნაწილია პირველ კალათში?

- (ა) მეორედი
- (ბ) მესამედი
- (გ) მეოთხედი
- (დ) მეხუთედი


26. სტამბა მუშაობს ყოველდღე, გარდა კვირისა. სტამბაში ყოველ სამუშაო დღეს 7 ქილა საღებავი იხარჯება. როცა საღებავის ქილების რაოდენობა 7-ზე ნაკლები ხდება, მეორე დღეს, მუშაობის დაწყებამდე, სტამბაში 10 ქილა საღებავი შეაქვთ.

ორშაბათს, სამუშაო დღის ბოლოს, სტამბაში 12 ქილა საღებავი იყო დარჩენილი. ამ სამუშაო კვირის რომელი დღის ბოლოს იქნება სტამბაში დარჩენილი საღებავის ქილების რაოდენობა ყველაზე ნაკლები?

- (ა) სამშაბათს
- (ბ) ოთხშაბათს
- (გ) ხუთშაბათს
- (დ) პარასკევს

27. ხეივანში ნაძვის, ფიჭვისა და წაბლის ხეებია. წრიულ დიაგრამაზე მითითებულია, ხეივანში ხეების საერთო რაოდენობის რა ნაწილს შეადგენს წაბლისა და ნაძვის ხეები.

რამდენი ნაძვის ხეა ხეივანში, თუ ფიჭვის ხეების რაოდენობა 44-ის ტოლია?
პასუხი დაასაბუთეთ.



(მაქსიმალური ქულა – 3)

28. მოსწავლეებს შემდეგი სამუშაო შესთავაზეს:

- 1) I. რის ტოლია რვა ათას ოთხმოცდათხუთმეტისა და ცხრაას ხუთის ჯამი?
II. რის ტოლია შვიდასი ათას შვიდისა და ასი ათას ერთის განაყოფი?
- 2) რომელ შემთხვევაშია ნაშთიანი გაყოფა სწორად შესრულებული?
I. $27:7 = 3$ (ნაშთი 4); II. $46:5 = 8$ (ნაშთი 6).
- 3) მართკუთხედის პერიმეტრია 3 სმ და 8 მმ. მართკუთხედის დიდი გვერდის სიგრძე 5 მმ-ით მეტია მცირე გვერდის სიგრძეზე. რის ტოლია მცირე გვერდის სიგრძე?
- 4) მამა 30 წლისაა. მას 3 შვილი ჰყავს, რომელთაგან ერთი 4 წლისაა, მეორე – 6 წლის, მესამე კი – 8 წლის. რამდენი წლის შემდეგ იქნება მამის ასაკი მისი შვილების ასაკთა ჯამის ტოლი?

მომდევნო გვერდზე მოცემულია ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი:

1) I. $8095+905 = 90000$.

II. $70007 : 10001 = 7$

2) I. $3 \cdot 7 + 4 = 21 + 4 = 25 \neq 27$ არასწორია.

II. $5 \cdot 8 + 6 = 40 + 6 = 46$ სწორია.

3) $3 \text{ სმ და } 8 \text{ მმ} = 38 \text{ მმ}$. $38:2 = 19$, $19 - 5 = 14$. მცირე გვერდის სიგრძეა $14 \text{ მმ} = 1 \text{ სმ და } 4 \text{ მმ}$.

4) $4 + 6 + 8 = 18$, $30 - 18 = 12$, $12 : 3 = 4$. პასუხი: 4 წლის შემდეგ.

მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და დაწერეთ შესწორებული ვარიანტი.

(მაქსიმალური ქულა – 3)

ბუნებისმეტყველება

29. ურთიერთობის რომელი ფორმა მყარდება დროზერასა და მწერს შორის?

- (ა) კონკურენცია
- (ბ) სიმბიოზი
- (გ) პარაზიტიზმი
- (დ) მტაცებლობა

30. სპორებს არ წარმოქმნის:

- (ა) სოკოები
- (ბ) გვიმრები
- (გ) ხავსები
- (დ) ყვავილოვნები

31. მარჯნის პოლიპები უძრავ ცხოვრებას ეწევიან, მათი ლარვები კი აქტიურად მოძრაობენ, რაც, ძირითადად, ხელს უწყობს:

- (ა) განსახლებას
- (ბ) საარსებო გარემოს არჩევას
- (გ) თავდაცვას
- (დ) საკვების მოპოვებას

32. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ადაპტაციები ჩამოუყალიბდა კაქტუსს გვალვიან გარემოსთან შესაგუებლად?

I. სახეცვლილი ფოთლები

II. გრძელი ფესვები

III. წვნიანი ღერო

(ა) მხოლოდ I და II

(ბ) მხოლოდ I და III

(გ) მხოლოდ II და III

(დ) I, II და III

33. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი კუნთები განუვითარდა განსაკუთრებულად ადამიანს ზეამართული სიარულისას?

I. ქვედა კიდურების

II. ზურგის

III. მკერდის

(ა) მხოლოდ I

(ბ) მხოლოდ I და II

(გ) მხოლოდ I და III

(დ) I, II და III

34. ჩამოთვლილი დაავადებებიდან რომელს არ იწვევს ბაქტერია?

(ა) ბოტულიზმს

(ბ) წითელას

(გ) ტუბერკულოზს

(დ) ანგინას

35. რა ეწოდება ფოტოზე გამოსახულ საერთო ძირის მქონე მთების ერთობლიობას?



- (ა) ქედი
- (ბ) მწვერვალი
- (გ) კალთა
- (დ) ფერდობი

36. რა მიმართულებით ბრუნავს დედამიწა საკუთარი წარმოსახვითი ღერძის გარშემო?

- (ა) აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ
- (ბ) ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ
- (გ) დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ
- (დ) სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ

37. მოცემული წინადადებებიდან რომელი ასახავს სწორად შაქრის კრისტალის წყალში გახსნის პროცესს?

- (ა) წყალში გახსნისას შაქრის კრისტალი შაქრის მოლეკულებად იშლება.
- (ბ) წყალში გახსნისას შაქრის კრისტალი შაქრის ატომებად იშლება.
- (გ) წყალში გახსნისას შაქრის კრისტალი იშლება შაქრის მოლეკულებად, რომლებიც შემდეგში იშლებიან ცალკეულ ატომებად.
- (დ) წყალში გახსნისას შაქრის კრისტალი იშლება შაქრის ატომებად, რომლებიც შემდგომში იშლებიან მოლეკულებად.

38. მაცივარში შედგეს წყლით სავსე 3 ქილა (დავუშვათ, რომ სამივე ქილის მოცულობაცა და კედლის სისქეც ერთნაირია):

I. პლასტმასის

II. მინის

III. ალუმინის

რომელ ქილაში გაცივდება წყალი უფრო სწრაფად?

(ა) I – პლასტმასის ქილაში

(ბ) II – მინის ქილაში

(გ) III – ალუმინის ქილაში

(დ) სამივე ქილაში ერთდროულად

39. ილუსტრაციაზე გამოსახული ცოცხალი ორგანიზმებიდან რომლის/რომლების სხეულის ტემპერატურა არ არის დამოკიდებული გარემოს ტემპერატურაზე?



პასუხების ფურცელზე, ცხრილის შესაბამის უჯრაში / უჯრებში, დასვით ნიშანი X.

(მაქსიმალური ქულა – 1)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45 46 47 48 49 50 51

40. დაადგინეთ შესაბამისობა ფოტოზე გამოსახულ ცხოველებსა და კონტინენტებს შორის, რომლებზეც ისინი ბინადრობენ. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში ფოტოზე აღნიშნულ ასოს მიუწერეთ შესაბამისი კონტინენტის ნომერი (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია).



(ა) კენგურუ



(ბ) დიდი პანდა



(გ) ლამა



(დ) გრიზლი




(ე) კოალა

კონტინენტები:

1. აზია
2. ჩრდილოეთი ამერიკა
3. სამხრეთი ამერიკა
4. აფრიკა
5. ავსტრალია

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 |
| 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 43 | 44 | 45 | 46 | 47 | 48 | 49 | 50 | 51 | |

41. დაადგინეთ შესაბამისობა ფოტოზე გამოსახულ დედამიწის პოზიციებსა და წელიწადის დროებს შორის. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში ფოტოზე აღნიშნულ ასოს მიუწერეთ წელიწადის დროის შესაბამისი ნომერი.




წელიწადის დროები:

1. ზამთარი
2. გაზაფხული
3. ზაფხული
4. შემოდგომა

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| <u>1</u> | <u>2</u> | <u>3</u> | <u>4</u> | <u>5</u> | <u>6</u> | <u>7</u> | <u>8</u> | <u>9</u> | <u>10</u> | <u>11</u> | <u>12</u> | <u>13</u> | <u>14</u> | <u>15</u> | <u>16</u> | <u>17</u> | <u>18</u> | <u>19</u> | <u>20</u> | <u>21</u> | <u>22</u> | <u>23</u> | <u>24</u> | <u>25</u> | <u>26</u> |
| <u>27</u> | <u>28</u> | <u>29</u> | <u>30</u> | <u>31</u> | <u>32</u> | <u>33</u> | <u>34</u> | <u>35</u> | <u>36</u> | <u>37</u> | <u>38</u> | <u>39</u> | <u>40</u> | <u>41</u> | <u>42</u> | <u>43</u> | <u>44</u> | <u>45</u> | <u>46</u> | <u>47</u> | <u>48</u> | <u>49</u> | <u>50</u> | <u>51</u> | |


42. ილუსტრაციის გამოყენებით, პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში ციფრების გასწვრივ ჩაწერეთ მცენარეში შესული და მის მიერ გამოყოფილი ნივთიერებები.



(მაქსიმალური ქულა – 1)

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| <u>1</u> | <u>2</u> | <u>3</u> | <u>4</u> | <u>5</u> | <u>6</u> | <u>7</u> | <u>8</u> | <u>9</u> | <u>10</u> | <u>11</u> | <u>12</u> | <u>13</u> | <u>14</u> | <u>15</u> | <u>16</u> | <u>17</u> | <u>18</u> | <u>19</u> | <u>20</u> | <u>21</u> | <u>22</u> | <u>23</u> | <u>24</u> | <u>25</u> | <u>26</u> |
| <u>27</u> | <u>28</u> | <u>29</u> | <u>30</u> | <u>31</u> | <u>32</u> | <u>33</u> | <u>34</u> | <u>35</u> | <u>36</u> | <u>37</u> | <u>38</u> | <u>39</u> | <u>40</u> | <u>41</u> | <u>42</u> | <u>43</u> | <u>44</u> | <u>45</u> | <u>46</u> | <u>47</u> | <u>48</u> | <u>49</u> | <u>50</u> | <u>51</u> | |

43. ილუსტრაციიდან ჩანს, რომ კომპასის ისარი ზუსტად არ არის მიმართული გეოგრაფიული პოლუსებისაკენ. რა არის ამის მიზეზი?



(მაქსიმალური ქულა – 1)

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ, მასზე პასუხის გასაცემად, შესაძლებელია, დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

ტექნიკური მეცნიერებების (ინფორმატიკა, ინჟინერია, მათემატიკა) სწავლებას ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, რადგან ქვეყნის ტექნიკური პროგრესისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიღწევებს ამ მეცნიერებებში. სკოლებში ახალი კურიკულუმები იწერება ტექნიკური საგნების სწავლების დონის ასამაღლებლად. ქვეყნები ცდილობენ, გაიუმჯობესონ საკუთარი პოზიცია ტექნიკურ საგნებში მიღწევების საერთაშორისო შეფასების სისტემაში. რა ფაქტორები ახდენს გავლენას ტექნიკურ საგნებში მიღწევებსა და ამ საგნების სწავლის მიმართ ინტერესზე? რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ გაიზარდოს მოსწავლეების მოტივაცია ტექნიკური საგნების სწავლის მიმართ?

თანამედროვე კვლევების მიხედვით, სოციალური სტერეოტიპები გარკვეულწილად გავლენას ახდენს ტექნიკური მეცნიერებების მიმართ ბავშვების ინტერესსა და, შესაბამისად, მათს მიღწევებზე. მაგალითად, შეხედულება – „მათემატიკა გოგონების საქმე არ არის“ – დაწყებითი კლასებიდანვე იჩენს თავს ბავშვებში. ამერიკელი მეცნიერი ენდრიუ მელტცოვი დაინტერესდა, რა ასაკიდან ექცევიან ბავშვები აღნიშნული სტერეოტიპების გავლენის ქვეშ, და დაადგინა, რომ მეორე კლასში, სანამ გამრავლების ტაბულას ისწავლიან, ბავშვებში უკვე გამყარებულია შეხედულება, რომ მათემატიკა უფრო ბიჭების საქმეა. ამგვარი სტერეოტიპები ხელს უწყობს არასწორ კატეგორიზაციას, მაგალითად, ვიღაცამ შეიძლება ივარაუდოს, რომ გოგონა მათემატიკაში ძლიერი ვერ იქნება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სქესის გამო. ამგვარად, ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ითვისებენ კულტურაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს, რამაც შეიძლება იმოქმედოს მათს შეხედულებაზე საკუთარი თავის შესახებ და მათს მომავალ მისწრაფებებზე.

შეკითხვებზე გადასვლა: [44](#) [45](#) [46](#) [47](#) [48](#) [49](#) [50](#)

მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების უახლესი შედეგების მიხედვით, ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის ჩინეთში, ფინეთში, საქართველოში, გოგონების მიღწევები ტექნიკურ საგნებში ბიჭების შედეგებზე უფრო მაღალია. თუმცა, ერთ-ერთი გრძელვადიანი კვლევის დროს ბავშვების მათემატიკურ უნარებს 12 წლის განმავლობაში ყოველწლიურად აფასებდნენ, და აღმოჩნდა, რომ საბავშვო ბაღის ასაკიდან ბიჭების მიღწევები მათემატიკაში უფრო მაღალი იყო, ვიდრე გოგონების, და ასაკის მატებასთან ერთად, ეს განსხვავება კიდევ უფრო იზრდებოდა. ამასთანავე, იმავე კვლევაში მასწავლებლებს სთხოვდნენ, ეწინასწარმეტყველათ თავიანთი მოსწავლეების შედეგები. როგორც წესი, მასწავლებლების მოლოდინი გოგონების მიღწევების მიმართ უფრო დაბალი იყო, ვიდრე რეალობაში ამ გოგონათა მიღწევები.

მეცნიერთა ჯგუფმა, რომელიც მათემატიკის სწავლისადმი ინტერესის განმაპირობებელ ფაქტორებს შეისწავლიდა, იკვლია ბავშვების მოთხოვნილება, იგრძნონ თავი რომელიმე ჯგუფის წევრად. ბავშვები შემთხვევითად გადაანაწილეს ორ ჯგუფში, ერთ ჯგუფს მწვანე მაისურები ჩააცვეს, მეორეს – ყვითელი. შემდეგ ბავშვებს უთხრეს, რომ მწვანემაისურიანები მათემატიკას ისწავლიდნენ, ყვითელმაისურიანები კი – სხვა საგანს. აღმოჩნდა, რომ ბავშვები, რომლებიც საკუთარ თავს მათემატიკის გუნდს მიაკუთვნებდნენ, უფრო მონდომებით მუშაობდნენ მათემატიკური პრობლემის გადაჭრაზე, ვიდრე ყვითელმაისურიანი ბავშვები და, შესაბამისად, მათი მიღწევებიც უფრო მაღალი იყო. ამრიგად, მათემატიკის სწავლის მიმართ ინტერესი და მონდომებულობა იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად მიაკუთვნებენ ბავშვები საკუთარ თავს იმ ჯგუფს, რომელიც მათემატიკას კარგად სწავლობს. მეცნიერები მუშაობენ ინტერვენციის მოდელზე, რომელიც მიკუთვნებულობის განცდას ეფუძნება, და იმედი აქვთ, რომ აღნიშნულ მოდელს ადვილად გამოიყენებენ საკლასო ოთახში.

შეკითხვებზე გადასვლა: [44](#) [45](#) [46](#) [47](#) [48](#) [49](#) [50](#)

44. რა ფუნქცია აქვს პირველი აბზაცის ბოლოს დასმულ შეკითხვებს ტექსტში?

- (ა) გამოკვეთს ტექსტის მიზანს, მომდევნო აბზაცებში წარმოდგენილია ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობა.
- (ბ) ხაზს უსვამს ტექსტში წარმოდგენილი საკითხის აქტუალობას – ტექნიკური მეცნიერებების შესწავლის მნიშვნელობას.
- (გ) მიუთითებს ტექნიკური საგნების მიმართ ინტერესისა და მათი შესწავლის მოტივაციის გაზრდის სტრატეგიებზე.
- (დ) კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ ფაქტორების მნიშვნელობას, რომლებიც განაპირობებს ტექნიკურ მეცნიერებებში მოსწავლეთა წარმატებას.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

45. მეორე აბზაცში ვკითხულობთ: „სტერეოტიპები ხელს უწყობს არასწორ კატეგორიზაციას...“ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება გამოგვადგეს აღნიშნული მოსაზრების არგუმენტად?

- I. მეორე კლასში, სანამ გამრავლების ტაბულას ისწავლიან, ბავშვებში უკვე გამყარებულია შეხედულება, რომ მათემატიკა უფრო ბიჭების საქმეა.
- II. აღმოჩნდა, რომ საბავშვო ბაღის ასაკიდან მათემატიკაში ბიჭების მიღწევები უფრო მაღალი იყო, ვიდრე გოგონების.
- III. მასწავლებლების მოლოდინი გოგონების მიღწევების მიმართ მათემატიკაში უფრო დაბალი იყო, ვიდრე რეალობაში ამ გოგონათა მიღწევები.

(ა) მხოლოდ II

(ბ) მხოლოდ III

(გ) I და II

(დ) I და III

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

46. მესამე აბზაცში მოყვანილია ორი კვლევის შედეგები:

- I. საერთაშორისო შეფასების მიხედვით, გარკვეულ ქვეყნებში გოგონების მიღწევები ტექნიკურ საგნებში ბიჭების შედეგებზე უფრო მაღალია.
- II. გრძელვადიანი კვლევის მიხედვით, საბავშვო ბაღის ასაკიდან ბიჭების მიღწევები მათემატიკაში უფრო მაღალია, ვიდრე გოგონების.

რა მიმართებაა მათ შორის?

- (ა) პირველი კვლევის შედეგი ადასტურებს, რომ სოციალური სტერეოტიპები გავლენას ახდენს ტექნიკურ საგნებში მოსწავლეთა მიღწევებს შორის განსხვავებაზე (სქესის მიხედვით), მეორე კვლევის შედეგი კი უარყოფს ამ მოსაზრებას.
- (ბ) ორივე კვლევის შედეგები ნაწილობრივ უარყოფს მოსაზრებას, რომ სოციალური სტერეოტიპები გავლენას ახდენს ტექნიკურ საგნებში მოსწავლეთა (სქესის მიხედვით) მიღწევებს შორის განსხვავებაზე.
- (გ) პირველი და მეორე კვლევის შედეგები ურთიერთსაწინააღმდეგოა, შესაბამისად, არ გვაძლევს ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას სოციალური სტერეოტიპების გავლენის შესახებ ტექნიკურ საგნებში მოსწავლეთა მიღწევებზე.
- (დ) ორივე კვლევის შედეგები ნაწილობრივ ადასტურებს მოსაზრებას, რომ სოციალური სტერეოტიპები გავლენას ახდენს ტექნიკურ საგნებში მოსწავლეთა მიღწევებზე.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

47. ტექსტის ბოლო აბზაცში აღწერილ ექსპერიმენტში მოსწავლეები ორ ჯგუფად დაყვეს, რათა:

- (ა) გაეზარდათ მოსწავლეების ინტერესი მათემატიკის მიმართ და ერთმანეთისგან გამოეყოთ მათემატიკის მცოდნე და ნაკლებად მცოდნე მოსწავლეები
- (ბ) გაეჩინათ ერთი ჯგუფის მოსწავლეებში მათემატიკის ჯგუფის მიმართ მიკუთვნებულობის განცდა და შემდეგ ერთმანეთისთვის შეედარებინათ მათემატიკაში ამ ორი ჯგუფის მიღწევები
- (გ) დაედგინათ, რამდენად შეიძლება ექსპერიმენტში გამოყენებული მოდელის დანერგვა რეალურ საკლასო ოთახში
- (დ) ერთმანეთისგან გაემიჯნათ სხვადასხვა ინტერესის მქონე მოსწავლეები და შემდეგ შეედარებინათ ერთმანეთთან მათემატიკაში მათი მიღწევები

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

48. ბოლო აბზაცში აღწერილი ექსპერიმენტის შედეგი:

- (ა) კიდევ ერთი არგუმენტია იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ ტექნიკურ მეცნიერებებში მიღწევებზე გავლენას ახდენს სოციალური სტერეოტიპები, რომლებიც, თავის მხრივ, სქესთან მიკუთვნებულობის გამო მოქმედებს ადამიანზე.
- (ბ) ნაწილობრივ ადასტურებს მოსაზრებას, რომ მათემატიკის სწავლის მიმართ ინტერესი და მონდომებულობა არ იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად მიაკუთვნებენ ბავშვები საკუთარ თავს იმ ჯგუფს, რომელიც მათემატიკას კარგად სწავლობს.
- (გ) კიდევ ერთი არგუმენტია იმ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომ სქესთან დაკავშირებული სტერეოტიპები ცვლის ბავშვის შეხედულებას საკუთარი თავის შესახებ და მის სამომავლო მისწრაფებებს.
- (დ) ნაწილობრივ უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ მიკუთვნებულობის განცდაზე დაფუძნებული ინტერვენციის მოდელი ტექნიკური მეცნიერებების მიმართ ინტერესს გაზრდის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

49. კვლევებით დადგენილია, რომ მშობლები ადრეული ასაკიდან უპირატესად ბიჭებისთვის ყიდულობენ იმგვარ სათამაშოებს (მაგალითად, რობოტებსა და კონსტრუქტორებს), რომლებიც მათ სივრცით უნარებს უვითარებს. სივრცითი უნარები კი ტექნიკური საგნების წარმატებით ათვისების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ტექსტში მოყვანილი რომელი კვლევის/კვლევების შედეგის ასახსნელად გამოგვადგება აღნიშნული ინფორმაცია?

(ა) საერთაშორისო შეფასების

(ბ) გრძელვადიანი კვლევის

(გ) როგორც საერთაშორისო შეფასების, ასევე გრძელვადიანი კვლევის

(დ) ტექსტის ბოლოს აღწერილი ექსპერიმენტის

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

50. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია ასახული ტექსტის მიხედვით გამოტანილი ძირითადი დასკვნა?


- (ა) ასაკის მატებასთან ერთად ტექნიკურ მეცნიერებებში ბიჭებს გოგონებთან შედარებით მაღალი მიღწევები აქვთ, რასაც ბიჭების მიმართ მასწავლებლების მიკერძოებული დამოკიდებულება განაპირობებს.
- (ბ) გოგონების და ბიჭების მიღწევები ტექნიკურ საგნებში განსხვავდება ერთმანეთისგან, რასაც საფუძვლად უდევს ამ საგნების სწავლის განსხვავებული უნარი და მოტივაცია.
- (გ) სქესთან მიკუთვნებულობის განცდა და, ასევე, საზოგადოებაში არსებული მოლოდინი, რომ გოგონებს ტექნიკურ მეცნიერებებში მაღალი მიღწევები ვერ ექნებათ, ამცირებს გოგონების ინტერესს ამ საგნებისადმი და, შესაბამისად, ნეგატიურად აისახება მათს მიღწევებზეც.
- (დ) ტექნიკურ საგნებში მიღწევებსა და მათ მიმართ ინტერესზე გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი: ასაკი, სქესი და არსებული კურიკულუმები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

51. ანალიტიკური წერა

ცნობილი მხატვარი მარკ ჯონსი წერდა: „ჩემი ნამუშევრები, როგორც წესი, იუმორს ემყარება. იუმორის ამოკითხვას კი ხშირად მივყავართ ჭეშმარიტების შეცნობამდე.“



მარკ ჯონსის ორივე ნახატს ერთი და იგივე წარწერა აქვს: „არ დაგავიწყდეს თამაში!“

დააკვირდით მოცემულ ნახატებს და იმსჯელეთ:

- რატომ ვთამაშობთ? რა როლს ასრულებს თამაში ადამიანის ცხოვრებაში?
- რა არის ამ სურათების მთავარი სათქმელი, რას მოითხოვს ჩვენგან ეს გზავნილი?

მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები. თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.

(მაქსიმალური ქულა – 11)